პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი.

№ 9 (2986) • ხუთშაბათი, 13 იანვარი, 1966 წ. • ფასი 3 კაპ.



როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამას წინათ მოსკოვში გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო მატჩი უძლიერესი „საციგურაო სახელმწიფოების" — სსრ კავშირისა და ნორვეგიის სპორტსმენთა შორის, სადაც გამარჯვებულნი საბჭოთა მოციგურეები გამოვიდნენ — 293,5:249,5.

სურათზე: 10 ათას მეტრზე რბენაში II ადგილზე გასული ვ. კაპლანი (სსრ კავშირი), რომელმაც აჩვენა 16.32,2. არაოფიციალურ ჩათვლაში კაპლანმა მრავალჭიდში 186,390 ქულით ყველას აჯობა.

ფოტო ბ. შანდრინისა და ვ. უნ და-სინისა (საკდესი).



# ჩვენი კონკურსი

6 იანვარი — განვლილი დღეა. მან, უფრო სწორად, ფიფა-ს საორგანიზაციო კენჭისყრამ ამ დღეს ლონდონის „როიალ გარდენის" სასტუმროში გაარკვია VIII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა საბოლოო დისპოზიცია. ახლა თვითეულმა გუნდმა იცის ვის, სად და როდის ეთამაშება, ვინაა მისი უახლოესი და კონკრეტული მეტოქე, ვინ — სავარაუდო და საორიენტაციო. გადამწყვეტი ბრძოლების ყოველ მონაწილეს შეუძლია შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა მომავალ შეხვედრათა ყველა დეტალის გათვალისწინებით.

რახან ფინალისტთა ჯგუფები გაირკვა და მეტოქეებიც დაწყვილდნენ, დადგა ხელახალი პროგნოზებისა და წინასწარმეტყველებათა პერიოდი, რომელიც არა მარტო მიმომხილველების, კომენტატორებისა და სპორტული რეცენზენტების პირდაპირ „მოვალეობას" წარმოადგენს, არამედ სპორტის მოყვარულთა საზრუნავსაც, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალს საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრებას.

იქ, სადაც პროგნოზია, არის კონკურსიც. ამიტომ „ლელოს" რედაქცია აწყობს ტრადიციულ კონკურსს სახელწოდებით „ჟიულ რიმეს თასი". მასში მონაწილეობის მსურველებმა კარგად უნდა შეისწავლონ თვითეული ჯგუფის მონაწილენი, მათი ერთმანეთთან შეხვედრების ისტორია, მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობის შედეგები, სპორტული ფორმა გათამაშების მოახლოების პერიოდში, შემადგენლობანი და ა. შ.

საკონკურსო წერილების გამოგზავნა შეიძლება 10 ივლისამდე (კონვერტზე საფოსტო აღნიშვნით), ვინაიდან 11 ივლისს ჩემპიონატი იწყება, ხოლო მის პირობებს ასე ადრე ვაქვეყნებთ იმიტომ, რომ ფეხბურთის მოყვარულებს საშუალება ჰქონდეთ შეისწავლონ 16 ფინალისტის მზადება, აღრიცხონ მათი შედეგები და ამით თვითონაც სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ გადამწყვეტი მატჩების დაწყებას.

„ჟიულ რიმეს თასის" კონკურსის პირობები ასეთია:

1. დაალაგეთ გუნდები იმ თანმიმდევრობით, როგორითაც ისინი დაიკავებენ ადგილებს ჯგუფებში (ყველა 4 გუნდი) — 5 ქულა.

2. განსაზღვრეთ მეოთხედფინალებში გამარჯვებულნი — 4 ქულა.

3. განსაზღვრეთ ნახევარფინალებში გამარჯვებულნი — 3 ქულა.

4. განსაზღვრეთ პირველი გუნდი მსოფლიოში — ოქროს ქალღმერთის თასის მფლობელი — 2 ქულა*.

* კონკურსში პირველი სამი ადგილის მოპოვებისთვის აუცილებელია მსოფლიო ჩემპიონის დასახელება.

კონკურსის პრიზიორთათვის „ლელო" აწესებს პრემიებს: პირველი ორი ადგილისთვის — ფასიანი პრიზები, მესამე ადგილისთვის — უფასო ხელმოწერა ჩვენს გაზეთზე 1967 წლისთვის.

წერილები უნდა გამოიგზავნოს რედაქციის მისამართით და აღნიშვნით კონვერტზე — „ჟიულ რიმეს თასი".

* * *

კონკურსში მონაწილეებს ყველა წინასწარი მასალა ხელთ რომ ჰქონდეთ, კიდევ ერთხელ შევახსენებთ ფინალურ ჯგუფებს და გათამაშების პირობებს:

I ჯგუფი: ურუგვაი, ინგლისი, საფრანგეთი, მექსიკა; II ჯგუფი: შვეიცარია, გფრ, ესპანეთი, არგენტინა; III ჯგუფი: ბრაზილია, ბულგარეთი, უნგრეთი, პორტუგალია; IV ჯგუფი: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, სსრ კავშირი, ჩილი, იტალია.




მსოფლიო ჩემპიონატის რეგლამენტი ასეთია: გათამაშება ჯგუფებში (მერვედფინალი) წარმოებს წრიული სისტემით, ე. ი. თვითეული გუნდი ითამაშებს 3 მატჩს. ჩათვლითი სისტემა ჩვეულებრივია — მოგება 2 ქულა, ფრე — 1 ქულა, წაგება — 0.

ჯგუფებში I-II ადგილებზე გასული გუნდები ქმნიან მეოთხედფინალს, დანარჩენები ბრძოლას ეთიშებიან. თუ ჯგუფებში რამდენიმე გუნდს ექნა ქულათა თანაბარი რაოდენობა, მათთვის ადგილების მიკუთვნება ხდება გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებით. თუ აქაც ერთნაირი მაჩვენებელი იქნა, საკითხს გადაწყვეტს კენჭისყრა.

მეოთხედფინალის წყვილები დგება ე. წ. „ჯვარედინი სისტემით". პირველი ჯგუფის გამარჯვებული ხვდება მეორე ჯგუფში II ადგილზე გასულს, ხოლო მეორე ჯგუფის გამარჯვებული — პირველ ჯგუფში II ადგილზე გასულ გუნდს. ასეთივე წესით წყვილდებიან ერთმანეთს შორის მესამე და მეოთხე ჯგუფების გუნდები.

თუ მეოთხედფინალური მატჩები დამთავრდა ფრედ, ინიშნება დამატებითი დრო — 2 ტაიმი, თვითეული 15 წუთის ხანგრძლიობით. თუ დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, „ბრძოლის ველზე" კვლავ კენჭისყრა გამოდის. საერთოდ, წინა მსოფლიო ჩემპიონატისგან განსხვავებით, მომავალ ტურნირში გადათამაშებას ადგილი არ ექნება. დამატებითი მატჩი გათვალისწინებულია მხოლოდ ფინალური შეხვედრისთვის. ე. ი. თუ 30 ივლისის ფინალი ლონდონის „უემბლის" სტადიონზე დამთავრდა ფრედ, დაინიშნება დამატებითი 30 წუთი. თუ გამარჯვებული არ გამოვლინდა, ფინალისტები მეორე დღეს კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

განსაზღვრულია ნახევარფინალური წყვილების შედგენაც. პირველი მეოთხედფინალის გამარჯვებული ხვდება მესამე მეოთხედფინალის გამარჯვებულს, ხოლო მეორე მეოთხედფინალური მატჩის მომგები — მეოთხე ნახევარფინალის გამარჯვებულს.

# მატჩის წინ და...

გლაზგო, 12 იანვარი. შოტლანდიის დედაქალაქი ადგილობრივი „სელტიკისა" და კიევის „დინამოს" შეხვედრის ციებცხელებითაა შეპყრობილი. ფეხბურთის ბევრი მოყვარული ელოდა ვაგზლის მოედანზე საბჭოთა გუნდის გამოჩენას, მაგრამ მატარებელი, რომელსაც სტუმრები უნდა ჩამოეყვანა, არ ჩანდა. მან ჯერ ლონდონში დაგვიანებით „აილო სტარტი", მერე კი ერთ-ერთ საშუალედო სადგურში დააყოვნა. და აი, საათნახევრის დაგვიანებით, გლაზგოს სადგურში როგორც იქნა, გამოჩნდა ამაყი სახელწოდების მატარებელი — „მეფური შოტლანდიელი". ეს იყო გუშინწინ....

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის დღევანდელი მეოთხედფინალური შეხვედრა აქ უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს. ეს გასაგებიცაა: შოტლანდიის ჩემპიონატში „სელტიკი" მატჩს მატჩზე იგებს, პირველობისა და თასის გათამაშებათა ბოლო 20 შეხვედრაში მას მარცხის სიმწარე არ უგრძვნია.

... 11 იანვარს კიევის დინამოელები იყვნენ „სელტიკის" სტადიონზე, სადაც ჩაატარეს 45-წუთიანი საწვრთნელი ვარჯიში. სამწუხაროდ, წვრთნისას დაშავდა ი. საბო, რომელიც, შესაძლოა, ვერ შეძლებს მატჩში მონაწილეობას.

კიეველთა მწვრთნელის ვ. მასლოვის აზრით, სტადიონის გრუნტი რბილია და თამაშისთვის მოუხერხებელი.

მაშ ასე: „სელტიკი" (გლაზგო) — „დინამო" (კიევი). თამაში იწყება 19 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით (22 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით). გუნდების ზუსტი შემადგენლობები ჯერჯერობით არ არის ცნობილი; მათ გამოაცხადებენ მხოლოდ თამაშის წინ. მაგრამ ვარაუდობენ, რომ რაიმე განსაკუთრებული ცვლილებები არც ერთ გუნდში არაა მოსალოდნელი.

# ...თვით მატჩი

## გუშინ...

ამინდმა კეთილი თვალით გადმოხედა ფეხბურთელებს და სტადიონის ტრიბუნებზე განლაგებულ 60 ათას მაყურებელს: წვიმამ გადაიღო და თერმომეტრში სინდიყმა პლუსისკენ გადაინაცვლა.

გუნდები მინდორზე ასეთი შემადგენლობებით გამოვიდნენ: „სელტიკი" — სიმპსონი, გრეიგი, გემელი, მერდოკი, კუშლი, კლარკი, ჯონსტონი, გალაჰერი, მაკბრაიდი, ჩალმერსი, ჰიუზი; „დინამო" — ბანიკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, ოსტროვსკი, მედვიდი, ტურიანჩიკი, ბაზილევიჩი, სერებრიანიკოვი, პუზაჩი, ბიბა, ხმელნიცკი.

სველი გრუნტის მიუხედავად, მატჩი ორივე გუნდმა უაღრესად მწვავე იერიშებით დაიწყო. არავითარი დაზვერვა და, ასე ვთქვათ, უკან მოხედვით თამაში! ისეთი სურათი იყო, თითქოს მეტოქენი მრავალჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ძალიან კარგად იცნობენ ურთიერთის სუსტსა და ძლიერ მხარეებს.

მე-11 წუთზე ბიბა პირისპირ გავიდა სიმპსონთან, მაგრამ ვერ გამოიყენა ეს საუცხოო შანსი, ხოლო მე-14 წუთზე სერებრიანიკოვის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მოხვდა „სელტიკის" კარის ძელს. და მაინც, 27-ე წუთზე ანგარიში გაიხსნა: გემელმა ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი კიეველთა კარში — 1:0.

შესვენებამდე ორივე გუნდის საჯარიმო მოედანზე რამდენიმე მწვავე მომენტი შეიქმნა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

მეორე ტაიმი კვლავ მწვავე ორმხრივი შეტევით დაიწყო, რომელიც, სამწუხაროდ, უხეშ თამაშში გადაიზარდა.

52-ე წუთზე კიეველთა კარში დაინიშნა პენალტი, მაგრამ ჰიუზმა ბურთი მიზანს ააცილა. 63-ე წუთზე „სელტიკმა" მეორედ შეარხია სტუმრების კარის ბადე: ჩალმერსმა კარგად გადასცა ბურთი მერდოკს და ანგარიში გახდა 2:0.

ამ წარმატებამ ახალი ძალები შთაბერა მასპინძლებს, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ჯონსტონი და მერდოკი. სწორედ ამ ორი ფეხბურთელის კომბინაცია 84-ე წუთზე მესამე გოლით დამთავრდა: ჯონსტონმა მოატყუა ოსტროვსკი და კიდევ 2 მცველი, ბურთი კიეველთა საჯარიმო მოედანზე „დაჰკიდა", სადაც ბანიკოვს წამით დაასწრო მერდოკმა და ანგარიში გაზარდა.

ასე დამთავრდა მატჩი.

(საქ. ინფ.).

## გუშინ...

ბაკურიანში ერთდღიანი დასვენების შემდეგ განახლდა სსრ კავშირის უძლიერეს სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრება. კოხტაგორის ფერდობებზე გაიმართა ვაჟთა ასპარეზობა სპეციალურ სლალომში (ტრასის სიგრძე 515 მ, კართა რაოდენობა: I ცდისას — 70, II ცდისას — 65, სიმაღლეთა სხვაობა 180 მ). გაიმარჯვა მოსკოველმა ვ. ტალიანოვმა (ცსკა) — 1.58,8.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

◆ ნიუ-პლიმუტი (ახალი ზელანდია), 12 იანვარი. დღეს აქ დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა მძლეოსნების გამოსვლამ. კვლავ გამოიჩინეს თავი დებმა — თამარ და ირინა პრესებმა. თამარმა მიაღწია ახალ ზელანდიაში არნახულ შედეგებს: ბადრო ტყორცნა 55,66 მეტრზე, ხოლო ბირთვი ჰკრა 17,42 მეტრზე. ბადალი არ ჰყავდა ირინასაც: მან გაიმარჯვა 80 მეტრზე თარჯრბენსა (10,8) და 100 მეტრზე რბენაში (11,9) — გაუსწრო 16 წლის ნიჭიერ ახალზელანდიელ სპრინტერს ბ. მეტიუზს. მწვავედ წარიმართა 1500 მეტრზე რბენა. საბჭოთა მძლეოსანმა ვ. კუდინსკიმ აჯობა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორს ჯ. დევისს და პირველი მიიჭრა ფინიშთან — 3.50,1. ლ. ივანოვმა წააგო 5000 მეტრზე რბენა ახალზელანდიელ მ. რაიანთან.

● ლენინგრადი, 12 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ გაიმართა ბელგრადის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების გამოსვლა. უაღრესად მწვავე და საინტერესო გამოდგა ვაჟთა თამაში. მატჩის დამთავრებას 5 წამი აკლდა, როცა სტუმრებმა ლენინგრადის ნაკრების ფარქვეშ გაიყვანეს სკანსი, მაგრამ ეს უკანასკნელი... დაჯარიმდა და შტუკინმა ორი საჯარიმო სროლით თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 55:53. ქალთა შეხვედრაც მასპინძელთა წარმატებით აღინიშნა — 56:42. ქულათა ზუსტად 50 პროცენტი — 28 — რუსეთის ფედერაციის ნაკრებს შესძინა სავკინამ (მოსკოვის ოლქის „სპარტაკი"). ხვალ სტუმრებს ხვდებიან ლენინგრადის ქალთა და რსფსრ-ს ვაჟთა ნაკრები გუნდები.

● ლაიპციგი. ადგილობრივი ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე მერვედფინალურ მატჩში დაამარცხა „დიუდელანჟი" (ლუქსემბურგი) — 38:23. გერმანელები, რომლებმაც პირველი შეხვედრაც მოიგეს, გავიდნენ გათამაშების მეოთხედფინალში.

● ბუდაპეშტი. ხელბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში გავიდა ადგილობრივი „ჰონვედის" ვაჟთა გუნდი, რომელმაც აქ განმეორებით მატჩში სძლია მადრიდის „ატლეტიკოს" — 28:15.

ქვემოაკეთის კოლმეურნეობა ერთ-ერთი ღონიერი სასოფლო-სამეურნეო არტელია ლანჩხუთის რაიონში. კოლმეურნეობამ შარშან დიდი გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, სიმინდის, აბრეშუმის პარკის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის დავალებანი. 155 ჰექტარ ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 35 ცენტნერი მარცვალი.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვს ახალგაზრდობას, რომელსაც ყველა პირობა აქვს შექმნილი შრომისა და კულტურული დასვენებისათვის. აღსანიშნავია, რომ 75 კომკავშირელი და უფრო მეტი ახალგაზრდა აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ შრომაში და გადაჭარბებით ანაღდებს გეგმებსა და ვალდებულებებს. 25 ახალგაზრდა, რომლებიც შრომითს ვახტზე დგანან, დაუსწრებლად იძენენ უმაღლეს განათლებას. კოლმეურნეობის ბრიგადებისა და რგოლების უმეტესობას ახალგაზრდა სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. გასულ წელს კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მიერ მოიკრიფა 260 ტონა ჩაის ფოთოლი, დამზადდა 2 ტონა აბრეშუმის პარკი; თვითეული საფურაჟე ძროხიდან კომკავშირელებმა ჩამოწველეს 1500 კგ რძე; თვითეული ჰექტარი ნათესიდან საშუალოდ მიიღეს 45 ცენტნერი სიმინდი. კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციას რაიკომის პლენუმმა ამ დღეებში კომუნისტური შრომის სახელი მიანიჭა.

ახალგაზრდობის კოლმეურნეობაში დამაგრებას და შრომაში აქტიურად ჩაბმას დიდად უწყობს ხელს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლება, რასაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია. სოფლის ხელმძღვანელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის მხრივ ამ კოლმეურნეობას რაიონში პირველი ადგილი უკავია.

სოფელში 159 კაცია „კოლმეურნის" წევრი. ხოლო ფიზკულტურელთა რაოდენობა 148-ს შეადგენს. ფიზკულტურულ ორგანიზაციას სათავეში უდგას კომკავშირელი რ. ქურიძე, რომელიც ყოველმხრივაა სამაგალითო. შარშან აქ მომზადდა 7 მეორე და 13 მესამეთანრიგოსანი, 26 მშთ I და II საფეხურის ნიშნოსანი, 6 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და სხვ.

ახალგაზრდობას აქვს ფეხბურთისა და ფრენბურთის კეთილმოწყობილი მოედნები, სადაც სისტემატურად წარმოებს საწვრთნელი ვარჯიში და სხვადასხვა შეჯიბრება.

„კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობაზე ფეხბურთისა და ფრენბურთის ადგილობრივმა გუნდებმა შარშან საპრიზო ადგილები დაიკავეს. ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე კალათბურთის, ჭიდაობის, ჭადრაკისა და მძლეოსნობის სექციები.

# ქვემოაკეთელთა სასახელო საქმეები

ფიზკულტურელები სანიმუშონი არიან შრომასა და ყოფაცხოვრებაში. მაგალითად, მეორეთანრიგოსნებმა გ. ქურიძემ, ს. თოდრიამ, ვ. ჩხაიძემ, გ. ჯაყელმა, გ. მორჩილაძემ, ზ. გოძელიამ, რ. გოგუაძემ მოსავლელად გაპიროვნებული თითო ჰექტარი ნათესიდან 45-48 ცენტნერი მარცვალი მოიწიეს.

სპორტსმენები ამჟამად საყრილობო შრომითს ვახტზე დგანან. მათ უკვე დაამთავრეს ჩაის პლანტაციების შემარვა და საფუძველი ჩაუყარეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წლევანდელ უხვ მოსავალს. ფიზკულტურული კოლექტივი ემზადება ჭადრაკსა და სროლაში შიდასაკოლექტივო შეჯიბრებისთვის. მიმდინარეობს სპორტული მოედნების გაფართოება და კეთილმოწყობა. ფეხბურთის მანდორზე ეწყობა დასაჯდომი ადგილები.

ქვემოაკეთელი სპორტსმენები, რომლებიც შრომითს ავანგარდში დგანან, წარმატებით ემზადებიან სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და ვალდებულებას იღებენ წლეულს კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები მოიპოვონ შრომასა და სპორტში.

მ. ბუბუშაშვილი,
საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის ინსტრუქტორი.

# წარმატებები გიმრავლოთ, გორელებო!

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა გ. ხარაულმა რამდენიმე კაცი გამოიძახა კაბინეტში. შემოსულთ დაუფარავი ალტაცებით მიულოცა წარმატება:

— ყოჩაღ მეგობრებო! არც ეს გექმართოთ, — მიმართა და მამაშვილურად გადაეხვია.

ყველა მიხვდა საქმე რაში იყო... ხუმრობა ხომ არაა, საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებს შორის ორჯერ მოიპოვო გარდამავალი წითელი დროშა და იწოდებოდე უძლიერესად.

რექტორის კაბინეტში მოსული ცნობა ელვის სისწრაფით მოედო ინსტიტუტს. შემხვედრნი ერთმანეთს ულოცავდნენ გამარჯვებას. ახალი ამბავი მალე მთელმა ქალაქმაც შეიტყო და გულით გაიხარა. საკავშირო გარდამავალი დროშის მეორედ მიღება გორის სპორტული საზოგადოებრიობის ზეიმად იქცა.

ღირსეული ჯილდოს საპასუხოდ კოლექტივმა ახალი ვალდებულებები იკისრა.

ასე იყო ორიოდე წლის წინათაც, როცა დროშა პირველად ჩამოიტანეს გორში. თანდათან მძლავრდებოდა კოლექტივი, სპორტი შემოქმედებითად მკვიდრდებოდა სტუდენტთა ცხოვრებაში. საინსტიტუტო პირველობებიდან საკავშირო ჩემპიონატამდე სტუდენტმა სპორტსმენებმა შორი და ძნელი გზა განვლეს. აქ კი კოლექტივმა თავისი სიტყვა თქვა და მოწინავეთა შორის დამკვიდრდა...

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ ინსტიტუტის ყველა სტუდენტი და თანამშრომელი ფიზკულტურის კოლექტივის წევრია, სექციებში მომეცადინეთა პროცენტმა კი 82-ს მიაღწია. 14 სპორტული სექცია ნაყოფიერად ემსახურება მაღალი კლასის სპორტსმენთა აღზრდას. ქალაქის ნაკრებ გუნდებში 98 პროცენტს სტუდენტები შეადგენენ. ინსტიტუტი დღეს ათობით სპორტის ოსტატს, ასზე მეტ პირველთანრიგოსანს და საზოგადოებრივ მუშაკს ითვლის. მარტო მსაჯთა რიცხვი 95-ს აღწევს, რომელთა შორის რესპუბლიკური და საკავშირო კატეგორიის არბიტრებიც არიან.

ფიზკულტურამ და სპორტმა წაშალა სხვაობა ასაკში. სპორტულ დარბაზებში თუ ღია მოედნებზე, ტურისტულ ბილიკებზე თუ სხვა მასობრივ ღონისძიებებში ყველას შეხვდებით — სტუდენტსაც და ლექტორსაც, ქალსაც და კაცსაც.

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ აქაურმა ხამბისტებმა წელს მეორედ მოიპოვეს უძლიერესის სახელი ორჯონიკიძეში გამართულ სტუდენტთა საკავშირო პირველობაზე.

ინსტიტუტი ამაყობს თავისი აღზრდილი ფალავნებით. სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა გავიხსენოთ აქ ნაწრთობი შესანიშნავი სპორტსმენები. სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ქიბროწაშვილი, სპორტის ოსტატები ბ. ბალაკაშვილი, შ. რომელაშვილი და სხვ. მათმა ვაჟკაცურმა მარჯვენამ გადასცა ესტაფეტა ი. ჩუხრუკიძეს, ო. ქაბროწაშვილს, გ. ბეჟიაშვილს და სხვ. მათი მიღწევები მწვრთნელების გ. პაპიტაშვილის, გ. ნინიკაშვილის, შ. ლითანიშვილის, ი. ნემსაძის, ბ. ძიძიგურის და თ. ცერცვაძის დაუღალავი შრომის დამსახურებაცაა.

გორში პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული კოლექტივის დიდ პატრიოტულ საქმიანობად მიიჩნევენ საშეფო მუშაობას: ინსტიტუტის კეთილმოწყობილი ბაზები მუდამ ღიაა ფიზიკური კულტურის მოყვარულთათვის. საზოგადოებრივ საწყისებზე აქაური მწვრთნელები ბევრ ახალგაზრდას ამზადებენ.

— წელს ინსტიტუტს არსებობის 30 წელი უსრულდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სახელოვანი კოლექტივი კიდევ გაგვახარებს წარმატებებით. მიღწეული გვავალებს, მაგრამ არ გვამშვიდებს; ორგზის პირველობა გვახარებს, მაგრამ გვავალდებულებს. გვჯერა, რომ ეს წელიც გამარჯვების წელი იქნება, — ამბობს სასწავლებლის რექტორი.

თ. ბაიჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).



ფარიკაობის ვეტერანის, დაუღალავი ენთუზიასტის, სსრ კავშირ. ჰ დამსახურებული მწვრთნელის სიმონ საყვარელიძის სახელთან უშუალოდაა დაკავშირებული ზესტაფონში სპორტის ამ სახეობის განვითარება. ღვაწლმოსილი, მხცოვანი მწვრთნელი და პედაგოგი დღესაც არ ისვენებს, კვლავინდებურად სურს სპორტულ საქმეთა ცენტრში იყოს, დაუღალავად გადასცეს ნორჩებს, ახალ თაობას თავისი დიდი გამოცდილება, აღზარდოს მათგან მაღალი კლასის სპორტსმენები. საამისო „სპორტულ ბაზად" ვეტერანი ხშირად... საკუთარ ბინასაც იყენებს.

* * *

სურათზე: ს. საყვარელიძე კვლავ თავის სტიქიაშია. იგი ავარჯიშებს ნიჭიერ გოგონას — დოდო დუგლაძეს.

ფოტო ა. განუგრავასი.

# სასარგებლო წიგნი

გამომცემლობა „განათლებამ" გამოსცა თ. სანებლიძისა და გ. გოგნიაშვილის შრომა „ტანვარჯიშის თემატური სიტყვარი".




უნდა ითქვას, რომ სპორტის არც ერთ სახეობაში ტერმინოლოგიის დამუშავება და დადგენა ისე არ გაჭიანურებულა, როგორც ტანვარჯიშში და ამას თავისი მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, — ტანვარჯიშის ტერმინოლოგია ყველაზე რთული და მოცულობითაც დიდია; მეორეც, — როდესაც დაისვა საკითხი ტანვარჯიშული ტერმინოლოგიის გადახედვისა და საბოლოო დადგენის შესახებ, მუშაობა ამ დარგში ინტენსიურად არ წარმოებდა. სატერმინოლოგიო კომისიის სხდომები იშვიათად ეწყობოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ქართულ სატანვარჯიშო ტერმინოლოგიას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ჩვენმა სასიქადულო მეცნიერმა და გამოჩენილმა სპორტსმენმა, პროფესორმა გ. ნიკოლაძემ. ეს საფუძველი იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ ტანვარჯიშულ ტერმინოლოგიას შემდგომში მაინცდამაინც დიდი ცვლილება არ განუცდია.

როდესაც 1938 წელს რუსული ტანვარჯიშული ტერმინოლოგია შეიცვალა, ზოგი ფიქრობდა, რომ ქართულ ტერმინოლოგიასაც ძირფესვიანი შეცვლა დასჭირდებოდა. მაგრამ ეს ასე როდი მოხდა. საქმე ისაა, რომ რუსული ტანვარჯიშული ტერმინოლოგია თავდაპირველად დამუშავებული იყო არა მშობლიური (რუსული), არამედ ჩეხური ენის საფუძველზე. ამ ტერმინების დიდი უმრავლესობა უცნაური, უცხო და გაუგებარი იყო.

იმის მიუხედავად, რომ ქართული ტანვარჯიშული ტერმინოლოგია დამუშავებული იყო ქართული ენის საფუძველზე, მასაც შეეხო გადახედვა და სათანადო გადამუშავება, ვინაიდან ზოგიერთ ტერმინს ესაჭიროებოდა მეტი დაზუსტება და ენობრივად გამართვა. ამასთან ერთად, ტანვარჯიშის ტექნიკის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით იბადებოდა ახალი ტერმინები. ამგვარი მუშაობა ძირითადად ჩატარდა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ქართული ტანვარჯიშული ტერმინოლოგია საბოლოო დამუშავებულია. არა, მას კვლავაც დასჭირდება ერთობ საგრძნობი კორექტივები და შევსება.

უდავოა, წიგნის ავტორებმა თ. სანებლიძემ და გ. გოგნიაშვილმა სასარგებლო მუშაობა გასწიეს, თუმცა ბევრი რამ ჯერ კიდევ დავისა და დადგენის პროცესშია.

შრომის ღირებულება მარტო ტერმინოლოგიის ასახვით არ ამოიწურება. წიგნში, ამასთან, თავმოყრილია მრავალი ვარჯიშის აღწერა და ახსნა-განმარტება. იგი კარგადაა დასურათებული, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ამა თუ იმ ვარჯიშის ათვისებას.

მ. ბორბაძე,
საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

# „იმერეთის" I სპარტაკიადა

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დასახლებაში ამას წინათ შეიქმნა ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბი „იმერეთი". კლუბმა უკვე გამართა დაგეგმილი I სპარტაკიადა, რომლის პროგრამა ითვალისწინებდა შეჯიბრებებს ფეხბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკსა და შაშში.

სპარტაკიადაში წარმატებით გამოვიდა მე-4 სახლმმართველობის ნაკრები, რომელმაც გაიმარჯვა ფეხბურთსა და შაშში და საერთო გუნდური პირველობაც მოიპოვა. კომპლექსში II იყო მე-5 სახლმმართველობა. მან ყველას აჯობა ჭადრაკსა და ფრენბურთში.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

# მიტრო დიდილილოელი

## ქართული სპორტის წარსულიდან

### მხილველის მოგონებანი

1903 წელს, თბილისში, ნიკიტინის ცირკში (მდებარეობდა იმ ადგილას, სადაც ახლა „ზარია ვოსტოკას" რედაქციაა) მოეწყო საინტერესო ჭიდაობა იოსებ ცერაძესა და თედო ლილოელს შორის. დაძაბულ ბრძოლაში ცერაძემ სძლია ლილოელს. თედოს დამარცხებამ მოჭიდავეთა ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით გულნატკენი იყო ერთი ჯმუხა, დაკუნთული, ლამაზად მოყვანილი ვაჟკაცი. მან გადაწყვიტა „შური" ეძია. ეს იყო თედო ლილოელის მეზობელი მიტრო დიდილილოელი — ივანე ხარების ძე გაბათაშვილი.

მეორე დღეს ცერაძე და მიტრო საჭიდაო ხალიჩაზე შეხვდნენ ერთმანეთს. ლილოელმა წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

მიტროს ეს წარმატება შემთხვევითი არ იყო. ამ დროისთვის მას უკვე კარგი მოჭიდავის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

გადიოდა დრო და ლილოელი, ღარიბი გლეხის ხარება გაბათაშვილის ბიჭი, სულ უფრო მეტ პოპულარობას და სიყვარულს იხვეჭდა.

1910 წელს, ბაქოში, შაისის ბაზრობაზე მიტრო შეხვდა ცნობილ აზერბაიჯანელ მოჭიდავეს ალთი-იაილხას. ჭიდაობის დაწყებიდან 2 წუთიც არ იყო გასული, რომ ხალხი მიტროს ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავდა.

1912 წელს მიტრო და კულა გლდანელი განჯაში ჩავიდნენ საჭიდაოდ. მიტრომ აქაც ბრწყინვალედ გაიმარჯვა.

მიტრო მეტად დაინტერესებული იყო ქართული ჭიდაობის ბედით, მისი განვითარებით. კულა გლდანელთან ერთად მას გადაწყვეტილი ჰქონდა საჭიდაო სკოლის დაარსება, მაგრამ განზრახვის აღსრულებაში იმპერიალისტურმა ომმა შეუშალა ხელი.

1914 წელს თბილისის სპორტულმა საზოგადოებრიობამ მიტროს თავისებური საღამო გაუმართა. იმ დღეს მთელი ქალაქი აფიშებით იყო მოფენილი. მრავალრიცხოვან დამსწრეთა მქუხარე ტაშის გრიალში კულა გლდანელმა და ლუკა დადიანიძემ მიტრო საპატიოდ გამოიყვანეს ასპარეზზე...

სახელოვანი ქართველი ფალავანი სულ ახლახან იგლოვა ჩვენმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ. მიტრო დიდილილოელი გარდაიცვალა შარშან ზაფხულს.

ვ. თბილელი.